საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 39
08/10/2020

39-06-4-202010081158

განკარგულება N39
07 ოქტომბერი 2020 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული: დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შენობა-ნაგებობის (სათავე ნაგებობა) და მასზედ მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 41201.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. 26.29.19.124); დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შენობა-ნაგებობის (წყლის რეზერვუარის) და მასზედ მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2390.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.26.29.24.088); ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შენობა-ნაგებობის (სატუმბი სადგურის) და მასზედ მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 287.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.26.08.03.211); ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შენობა-ნაგებობის (წყალმიმღები) და მასზედ მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 315.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.26.08.03.212); ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შენობა-ნაგებობის (ჭაბურღილი) და მასზედ მიმაგრებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 310.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.26.01.83.204) და მთისპირის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შენობა-ნაგებობის (საქლორატორო) და მასზედ მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 64.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.26.24.13.081) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სატისი“-სათვის (ს/ნ 437066201)

უსასყიდლო უზუფრუქტით, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო